ლოგიკური შედეგი

ოდესა. შავი ზღვის სანაოსნოს ცენტრალური სტადიონი. 10 მაისი. 21 000 მაყურებელი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 1:1.

“ჩერნომორეცი”: გრიშკო, რომანჩუკი, ტრეტიაკი, იშჩაკი, პლოსკინა, ჟარკოვი, სახნო, საველიევი, პასულკო, სმოტრიჩი, ნაკონეჩნი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ფრიდონაშვილი, შენგელია, ჩქარეული.

25–ე წთ. პასულკო, 73–ე წთ. ცაავა.

66–ე წთ. ფრიდონაშვილის ნაცვლად – ცაავა, 76–ე წთ. რომანჩუკის ნაცვლად – ბაგაპოვი, 79–ე წთ. ნაკონეჩნის ნაცვლად – მოროზოვი.

მსაჯი: იური სავჩენკო (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 13:10, ზუსტი დარტყმა – 4:5, საჯარიმო მოედნიდან – 6:4.

კუთხური – 2:4.

დაჯარიმდნენ: ოდესელები 7, თბილისელები 8.

დუბლიორები – 2:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა გურულმა.

გასაკვირი არაფერი იყო იმაში, რომ “ჩერნომორეცმა” მატჩის პირველივე წუთებზე შეუტია სტუმრებს, მაგრამ მოუგერიებელს კაცი მაინც ვერ დაარქმევდი ამ იერიშებს. ეს ნაწილობრივ თბილისელ მცველთა და ნახევარმცველთა შედარებით მშვიდმა, აუღელვებელმა თამაშმა განაპირობა, ნაწილობრივ კი – საკმაოდ ნელმა ტემპმა, რომლის აჩქარება წლევანდელ სეზონში ერთობ სუსტად მომზადებულმა “ჩერნომორეცმა” ვერა და ვერ მოახერხა.

მე–3 წუთზე ნაკონეჩნი–პასულკო–ნაკონეჩნის კომბინაცია თბილისელთათვის იღბლიანად დასრულდა – დამამთავრებელი დარტყმა უზუსტო გამოდგა. ათიოდე წუთის შემდეგ თბილისელთა კარში სახიფათოდ ურტყამს საველიევი. კიდევ ხუთი წუთი და პასულკოს იერიში მოიგერიეს მცველებმა. 25–ე წუთზე მასპინძლებმა მაინც შეძლეს გოლის გატანა, თუმცაღა, საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში. “დინამოს” საჯარიმოს სიახლოვეს მეტოქესთან ორთაბრძოლაში ფრიდონაშვილმა როგორღაც უხერხულად მოიგერია ბურთი, “პასი” მეკარის წინ მდგომმა პასულკომ მიიღო, რომელსაც ამ ვითარებაში გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

თამაშის ხასიათი არც ამის შემდეგ შეცვლილა. მეტოქეები საკმაოდ ნელა მოქმედებდნენ. ტაიმის მიწურულს ჭედიას ძლიერი დარტყმის მოგერიება მოუხდა მეკარე გრიშკოს.

მეორე ტაიმი შედარებით “აგრესიული” იყო. მართალია, ოდნავ, მაგრამ მაინც იმატა სისწრაფემ, შესაბამისად – საგოლე სიტუაციებმაც. თბილისელები როგორღაც დაჯერებული თამაშობდნენ, პასებში, დარტყმებში სულ არ იგრძნობოდა ფაციფუცი და ძირითადად ესეც დაეხმარა “დინამოს” საპასუხო გოლის გატანაში. თუმცა, მაინც უნდა ითქვას, რომ სტუმართა თამაშში ზედმეტი აკადემიზმი შეიმჩნეოდა.

სიმშვიდე, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ასეთ მეტოქესთან – “ჩერნომორეცმა” კი მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი მონდომება და თუ გნებავთ, კლასი უჩვენა თავის მაყურებელს – ალბათ გაცილებით აგრესიული თამაშია საჭირო. თუმცა, ეს მხოლოდ სუბიექტური აზრია. ისე კი, თბილისელებმა, შესაძლოა, საუკეთესო ვარიანტიც არჩიეს: სტუმრად ქულის მოპოვება სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგია და

რადგან გუნდმა მიაღწია კიდეც საწადელს, მეტისმეტი შენიშვნები უადგილოც შეიძლება გამოდგეს.

დავუბრუნდეთ მატჩს. 53–ე წუთზე პასულკო გაცდა თბილისელ მცველებს და დაარტყა. ბურთი ოდნავ აცდა კარს. 55–ე წუთზე მახარაძემ შესანიშნავი პასით კარგ პოზოციაში გაიყვანა კაკილაშვილი. ნახევარმცველი ოდნავ შეყოვნდა, რაც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ხელსაყრელი მომენტი დაკარგულიყო.

57–ე წუთი. მარცხენა ფლანგიდან პასულკო გაექცა მახარაძეს და ბურთი კარის გასწვრივ ჩამოაწოდა – ნაკონეჩნის დარტყმა მაინცდამაინც ზუსტი ვერ იყო.

მე–60 წუთი. კეტაშვილის რეიდი. ოდესელი მცველები ძლივს იგერიებენ ბურთს. ხუთი წუთის შემდეგ კეტაშვილმა ისევ მოსინჯა მასპინძელთა კარი, ამჯერად – შორიდან. და ბოლოს, 73–ე წუთი: მახარაძე–სულაქველიძე–მახარაძე. მცველებმა მოიგერიეს თბილისელთა იერიში. ბურთი ისევ მახარაძემ მიიღო. ამჯერად უფრო ზუსტი გამოდგა "დინამოს" ცენტრალური მცველის პასი. შენგელია საკმაოდ ძლიერად ურტყამს. გრიშკომ აიღო ბურთი, მაგრამ შეჩერება ვეღარ შეძლო. იქვე გაჩნდა ცაავა და ანგარიშიც გათანაბრდა – 1:1.

ამის შემდეგ თბილისელები დიდხანს ათამაშებენ ბურთს, იერიშის საშუალებას არ აძლევენ მასპინძლებს. 75–ე წუთზე სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ შენგელიას ძლიერი დარტყმა შესანიშნავად მოიგერია ოდესელთა მეკარემ. თანდათან დარჩენილი 15 წუთიც გაილია და მატჩი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

"ლელო", 12 მაისი, 1985 წ.